



საქართველოს ეროვნული ბიблиოთეკის ცენტრალური გამცემის სამსახური

K 5.097
4

საქართველოს მოციფრულთა

ქადაგი სელნაწყრების მიხედვით

საქართველოს სსრ მთხოვნებათა აკადემიის გამოცემაში

თბილისი—1949



ს ა ქ მ ი ნ დ ე ბ რ ე ბ ი ნ დ ა





ПАМЯТНИКИ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

ДЕЯНИЯ АПОСТОЛОВ

по древним рукописям

ИЗДАЛ

ИЛЬЯ АБУЛАДЗЕ

под редакцией

А. ШАНИДЗЕ

Издательство Академии Наук Грузинской ССР
Тбилиси—1950

4123 + 22/28



7. ივლისის 1966 დღის ცეკვა

საქართველოს მოციქულთა

ბეჭდი სეპარატიულის მიხედვით

გამოსცა

ინიციატივის

კ. შაიძის


რედაქტორი

K 5.097
γ

საქართველოს სსრ მთხოვნებათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი—1950

ტექსტზე მუშაობის მონაცილე
პოლიკარპე ჯაფარიძე



შეკ. № 469	შე 00288	ტირაჟი 800
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა		
ა. წერტლის ქ. № 7		

(06-222), (27 ვენ.) 25 cm 202.

რ ე დ ა ძ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ

ძელი ქართული ენის მეტად საჩინო ძეგლებს შორის ერთი უპირველეს აღგილთაგანი, უმკველია, „მოციქულთა საქმეს“ უკირავს. იგი ადრე (IV—V საუკუნეში) უნდა ეთარგმნათ ქართულად, მაგრამ მისი შემცველი ძელი-ძელი ხელნაწერები, ქამთა სიავის გამო, დაკარგულა. ჩვენამდის მოუღწევია მხოლოდ მე-10 საუკუნეს და მერმინდელ ხანებში გადაწერილ ხელნაწერებს, რომელთა-განაც, ტექსტის დაღვენისა და გამოცემის მიზნით, არჩეულ იქნა ცხრი, რომლებიც უფრო აღრინდელებია მოღწეულებს შორის. ამთავ ტექსტების ერთმანეთთან შედარებისა და შესწავლის საფუძველზე პროც. ილია აბულაძე გამოარვა, რომ მოციქულთა საქმის ტექსტი ქართულად დღეს-დღეობით ოთხი რედაქციისა მოგვეპოვება, რომლებიც აქ C, ვ., ჭ., შ. ლიტერებით არის აღნიშნული. ამ რედაქციებში უძველესია C (ხელნაწერები AK), ამისვან გამოდის ჭ. (ხელნაწერები CD), რომელსაც ყურდნობა თავის მხრივ ჭ. (ხელნაწერები EF), ამისგან კი უშუალოდ დამოკიდებულია შ (ხელნაწერები GHI).

გამოცემისთვის გამოყენებული ხელნაწერების უმეტესობა თბილისშია დაცული, ერთია ქუთაისში (C), ერთი ლენინგრადში (I) და ერთიც საბერძნეთში, ათონის ქართველთა მონასტერში (D). უკანასკნელის ფოტოპირები, ჩემი თხოვნით, გამოგახვნა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ბლეიქმა, რომელსაც ამისთვის უძრმეს მაღლობას მოვახსნებ.

დიდად სამწუხაროა, რომ ხელი არ მიგვიწვდებოდა ორ ხელნაწერზე, რომლებიც დაცულია სინას მთავე (ეგვიპტეში), და რომლებიც მე-10 საუკუნეშია გადაწერილი: ერთი 974 წელს (ცაგარ. № 17, ჯავახ. № 39) და მეორე 977 წელს (ცაგარ. № 16, ჯავახ. № 31). უკანასკნელი მათგანის ტექსტი ჭ. რედაქციისა უნდა იყოს, რამდენადაც ეს ჩანს ი. ჯავახიშვილის აღწერილობაში მოყვანილი ერთი აღგილის მიხედვით: „სპარსი და უფინი და ელამიტელნი“¹ (საქმე 2, 9).

უნდა ითინიშნოს მაინც, რომ C რედაქციის ტექსტი, რომელიც საფუძვლად უძევს მომდევნო რედაქციებს, პირვენდელი სახით როდია ჩვენამდე მოსული: უთუოდ ის თავად წარმოადგენს წინანდელი ტექსტის გადამუშავებულ სახეს (იქნება არაერთხელსაც). სხვა რომ არა იყოს რა, ის მაინც უცილობელია, რომ შეიგ წაშლილი ყოველგვარი კვალი ხანმეტობისა, რაც პირვანდელი ტექსტის დამახასიათებელი იქნებოდა. აღნიშნული რედაქცია არც თუ უნაკლოა; მაგ., მას შემოუნახავს მცდარი წაკითხვა ერთი აღგილისა (საქმე 28, 15): „მიერ ძმათა ესმა ჩუქნოვს და მოვიდეს შემთხვევად ჩუქნდა ვიდრე აბის უბნადმიდე და მესამედ ღვნის საფარდულად“ (...„საფარდულადმდე“ D). გვვინია, რომ

¹ ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1947, გვ. 53.



თავდაპირველად აქ იკითხებოდა არა „მესამედ ღვნის საფარდლულის დროდე“, არამედ „მისამის ღვნის საფარდლულის დროდე“¹, რაც ამას უდრის ბერძნულ ტექსტში: ახრ: „Απόπισυ φόρου καὶ Τρέψ ταβερνάν. ჩინს, რომ „მისამის“ (თუ „მისამის“: პისტ, პისტის) სიტყვის ० (I) ე-დ წაუკითხავთ და შემდეგ მიუღიათ „მესამედ“ (პისტი). უცნაურია, რომ ეს მცდარი წაკითხავა გამომპარვით შემდეგი ღროს ცნობილ რედაქტორებს—გიორგი მთაწმიდელ-სა და ეფრემ მცირეს, რომლებიც, როგორც ვიცით, ქართულ ტექსტს ბერძნულ დედნებთან ადარებდნენ. მათი ტექსტებიდან კი შემდეგ ვგვევ ფორმა ევთალეს შესავალში გადასულა (სახელდობრ, პავლეს მიმოსვლის თავში, გვ. 217, 18) და დაბეჭდილ ტექსტებში (მაგ., 1912 წლის ახალ აღთქმაში).

ზოგიერთი ადგილი სხვა შერით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ერთგან (საქმე 27,13) იკითხება: „აღდეგეს ასონით და წარიმჩევდეს კრეტი“ (კრიტით ქ), რაც ამას უდრის: ἀρχαῖτες ἀσσον παρελέγοντες τὴν Κρήτην. სიტყვა პასავ (ცირკულულებსით) ზმნიშედაა („უფრო ახლოს“), მაგრამ მოყვანილ კონტექსტში ის შეიძლება გეოგრაფიულ პუნქტიდაც იქნეს გავებული (როგორც ეს ბერძნული ტექსტის ზოგიერთ გამოცემაში ყოფილა, —მაშინ სხვა მახვილი უნდა: „Ασσον“). ქართულში (ისე, როგორც ზოგიერთ ვერსიაში) ის გეოგრაფიულ სახელად არის წარმოდგენილი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი ადგილების შესწორება, ისე როგორც საკუთარი სახელების შერყვნილ ფორმათა გამართვა², არ შედიოდა ამ გამოცემის მიზნებში.

მოციქულთა საქმის ქართული კერძისის ტექსტი ბევრჯერ გამოცემულა (პირველად ის ვახტანგმა დაბეჭდი 1709 წ. თბილისში), მაგრამ ყველა უკრიტიკოდა და სამეცნიერო მიზნებისათვის ძნელად გამოსაყენებელი. მართლაც, თავი რომ დავანებოთ თრთოვგრაფიას, კაცმა არ იცავს, რას წარმოადგენს დაბეჭდილი ტექსტი, არ ხელნაწერებს ემყარება ის და სხვა. არა და ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი კონიბირი, რომელსაც პსურადა, გამოერკვია ამ ძეგლის ქართული კერძისის მიმართება ბერძნულ ტექსტთან და სირიულ, სომხურ, ლათინურ და სხვა ვერსიებთან, D ხელნაწერის თორმეტი გვერდის ტექსტის მიხედვით (რომლის ფოტოსურათები მისთვის ლეიტენის პროფესორს Lake-ს გადაუდია ათონის მთაზე), იძულებული იყო, ხელნაწერის ტექსტის შესაღარებლად ესარგებლნა ბიბლიური საზოგადოების მიერ გამოცემული ტექსტით³. ეს იყო

¹ შერ. „მიტრა გამამდე“ (მათ. 27,45 C).

² კუნძულის სახელად ერთ ადგილს (საქმე 27,16) პირველ ორ რედაქციაში „კავ“ იკითხება, მესამესა და მეოთხეში კი—„კლავდია“.

³ Fred. C. Conybeare, The Old Georgian Version of Acts: Zeitschrift für die neutestamentliche Wissenschaft, 1912, Heft 2/3, გვ. 131—140 (სამი ტაბულით).

კონიბირს უკირს კითხა და ქართულ ფორმებში, გარკვევა. წაგ.. შე უქმეშეს (-და ერჩ- (ქ) შას ძ-დ მიუღია (ქ) და შემდგომი ასო ჟ (ჩ). სომხურის გადევნით, ი-დ წაუკითხავს (სომხ. ქ=ქართ. ი). აგრეთვე სუსტია ის ქართული პალეოგრაფიის საკითხებში: D ხელნაწერი, გადა-



დაახლოებით ამ ორმოციოდე წლის წინათ. მას აქეთ მდგომარეობა უკავშირდება დაც არ შეცვლილია. მხოლოდ ეხლა მოგვეცა საშუალება, აღმოგვეცხვრა ის დიდი ნაკლი, რომელიც დიდი ხანია იგრძნობოდა, და ქართული ენის ისტორიის მყელევართ ხელში ეძლევა ახალი აღთქმის კიდევ ერთი მოზრდილი წიგნის ტექსტი, მეცანერული მოთხოვნილების თანახმად დადგენილი და სანდოდ გამოცემული. ვფიქრობთ, რომ ამ სახით გამოცემულ ძეგლს მისი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების მემიებლებიც კრიკოფილებით შექმნდებიან.

ა. შანიძე

24.1.1950

თბილისი.

P. S. მოციქულთა საქმის გამოცემა კაი ხანია განზრახული მქონდა. ამ მიზნით სავაგალე ჩემს ასპირანტს პ. ჯავახიშვილს, რომ მას, თავის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით, გადმოწერა A ხელნაწერის ტექსტი და გვერდით მოწერა ვარიანტები სხვა ხელნაწერებისა. ეს დავალება მან შევად შეასრულა ზოგი ხელნაწერის მიხედვით (ACEFGH). მალე ის დიდ სამამულო ორში გაიწევის. რადგანც მე დრო არ მქონდა, მიმმართე პროფ. ილია აბულაძეს, რომ მას ეკისრა მოციქულთა საქმის გამოცემა. ის დათანხმდა და პ. ჯავახიშვილის გადმონაწერების მიხედვით გამოიარევია ხელნაწერთა მიმართება ერთმანეთთან და ის გზა, რომელსაც უნდა დაკავშიროდით ტექსტების გამოცემის დროს.

ამას მივიღეთ თონისა და ლენინგრადის ხელნაწერთა ფოტოპირებიც. ამათ მიემატა K ხელნაწერი და პირველდღელი გეგმა გაფართოვდა. ყველა ამ მასილის მიხედვით პროფ. ილია აბულაძემ გამართა ტექსტები სასტამბოდ, შეუდარა ისინი დედნებს (ხელნაწერებსა და ფოტოპირებს) და თანაც იკისრა მთელი სიმძიმე კორექტურების კითხვისა. ამას გარდა, საკორექტურო ფურცლებში ანაწყობი ტექსტი მან ერთხელ კიდევ შეუდარა დედნებს.

ა. შ.

წერილი X ს.-ის 60-იან წლებში, მას მიერნევია „არა უგვიანეს XIII საუკნისად და საფიქრებელი XII საუკნისად. მიუხედავად ამისა, კანიბირის გამოვლენა მანიც საყურადღებოა. ქართულ ტექსტში წინასწარი ვარაუდით ის სირაბების მოელოდა და შშირად წასწყდომია კი დასულეულის მიმკოდ წაკითხვებს (მერძნულ-ლათანურებისა). ქართულ ტექსტის ვითარება რომ გასვები გამზღარიყო ქართველის არამკოდნებათვის, მან ბერძნულად თარგმნა ხელნაწერის ნაწყვეტები მთლიანად (საქმე 5,37—7,23 და 7,38—8,20) და დაურთო საჭირო შენიშვნები.

ს. მაგიკროდ რაღაც კურიოსია მთლიან მოლოდის თ. კლუგს წერილი: Th. Kluge, Die georgischen Übersetzungen des Neuen Testaments (მაკე გერმანულში, 1911 Heft 4, გვ. 344—350).

ОТ РЕДАКТОРА

Среди важнейших памятников древнегрузинского языка одно из первых мест занимает, бесспорно, книга „Деяний апостолов“. Она, вероятно, рано (в IV—V в.в.) была переведена на грузинский язык, но древнейшие рукописи, содержащие этот памятник, погибли вследствие постигших Грузию бедствий. До нас дошли только рукописи X и последующих веков, из которых, в целях установления и издания текста, были привлечены девять, наиболее древние из сохранившихся. На основании сличения и изучения их текстов проф. И. В. Абуладзе пришел к заключению, что грузинские версии „Деяний“ образуют четыре редакции, отмеченные здесь литерами **С**, **Ч**, **Ц**, **Б**. Из них самой древней является редакция **С** (рукописи *AK*), из нее выходит **Ч** (рукописи *CD*), на которую опирается, в свою очередь, **Ц** (рукописи *EF*) и, наконец, от нее непосредственно зависит **Б** (рукописи *GHD*).

Большинство использованных для издания рукописей находится в Тбилиси, одна—в Кутаиси (*C*), одна—в Ленинграде (*I*) и одна—в Греции, в Иверском монастыре на Афоне (*D*). Фотокопии последней рукописи, по моей просьбе, прислав профессор Гарвардского университета R. P. Blake, которому за это приношу глубокую благодарность.

Весьма прискорбно, что нам не были доступны две рукописи, хранящиеся на Синайской горе (в Египте) и переписанные в X веке: одна в 974 г. (Цагар. № 17, Джавах. № 39), а другая в 977 г. (Цагар. № 16, Джавах. № 31). Текст последней воспроизводит, видимо, редакцию **Ч**, судя по одной цитате, приведенной в „Описании“ И. А. Джавахишвили¹:

ხამტები და უფეხი და ელამი „Персы и ужики и эламиты“ (Дея. 2,9).

Есть основание сомневаться, чтобы текст редакции **С**, являющейся исходной для позднейших редакций, дошел до нас в первоначальном виде. Возможно даже, что он не раз подвергался ревизии. Во всяком случае несомненно, что в нем уничтожены все следы хаметности, являющейся формальным признаком древнейших грузинских текстов. Означенная редакция не безупречна,—она сохранила ошибочное чтение одного места (Дея. 28,15): მიერ ძმათა ესმა ჩუებოჲს და მოვიდეს შემთხუევად ჩუებდა ვიდენ აძის უბნარმდე და მესამე ღვების საფარდულად (...საფარდულად *D*). „Гамошные братья услышали о нас и пришли встретить нас до Аппиевой площади и до третьего виноторгового заведения“. Полагаем, что в

¹ ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. 1947, გვ. 53.



первоначальном тексте читалось: δόύεθ (либо δούεδος) ωζβος სატერი ტრი დე გვერდუ (до Аплиевской площади и трех гостиниц"). Значит, **ФИСО (С)** прочли **ФИСО (Т)**, что повело к искажению географического названия. Странно, что такое ошибочное чтение проникло в последующие редакционные обработки текста, принадлежащие известным литераторам—Георгию Святогорцу (сконч. в 1065 г.) и Ефрему Младшему (сконч. до 1103 г.), которые, как хорошо известно, грузинский текст сличали с греческим. Означенная форма из их текста дальше перешла в Евфалиево Введение (в главу о странствованиях Павла, стр. 217, 18) и в печатные издания (напр., в Н. З. издания 1912 г.).

Некоторые места текста привлекают наше внимание с другой стороны. Так, в одном месте читается: ἀπῆροντο τὸ θαύματον πάντων καὶ ἀνέβησαν из Асона и предпочитали (плыть) к Криту" (Дея. 27,13). Это —перелача греч. текста ἀπῆρτες ἀπονομένου παραλέγοντο τὴν Κρήτην, где слово ἀπονομένου понято не как наречие („ближе“, ἀπονομένου, с облеченным ударением) а как географическое название. В этом случае слово должно иметь острое ударение ("Апопономέнус"), каковое понимание находит поддержку в некоторых изданиях греческого текста и в других версиях.

Надо подчеркнуть, что вносить изменения в такие места, равно как исправлять искаженные собственные имена², не входило в цели настоящего издания.

Грузинский текст Деяний апостолов издавался не раз (впервые он был напечатан Вахтангом VI в Тбилиси в 1709 г.), но ни одно издание не является критическим, вследствие чего все они мало пригодны для научных целей. Если оставить в стороне вопрос об обновленной орфографии, мы находимся в недоумении относительно рукописей, легших в основу издания. А между тем профессор Оксфордского университета Конибир, желавший выяснить отношение грузинского текста, в пределах имевшихся у него 12 страниц афонской рукописи D (снятых для него Лейденским профессором Lake), к греческому тексту и к версиям: сирийской, армянской, латинской и другим, был принужден для сравнительных целей обращаться к Н. Завету, изданному библейским обществом³. То было лет 40

¹ Срв. подобное выражение: δούεθ გამაღმდვ „до девяти часов“ (Матф. 27,25 С).

² Напр., в качестве имени одного острова в первых двух редакциях читается ქავ (Кав), а в последних двух—კლავ (Клавди) (Дея. 27,16).

³ Конибири не легко разобраться в древнегрузинских письменах и формах; так, напр., слова ბე ყმებელ (Дея. 8,11) он читает так: da edzides, т. е. букву ბ (ბ) он смешивает с буквой ძ (ძ), а следующую букву ի (ի) он, под влиянием армянского, читает, как լ (груз. լ=է, арм. լ=Ի) [стр. 140]. Не ориентирован он также в палеографических вопросах: рукопись D, переписанную в 60-х годах X в., он считает появившейся „не позже 13-го в., вероятно в 12-м“. Несмотря на это, исследование Конибира заслужи-



тому назад. С тех пор положение дел ни на iota не изменилось, и теперь мы получили возможность восполнить большой пробел, существовавший давно, и историкам грузинского языка дать в руки еще один довольно крупный текст Н. Завета, отвечающий самым строгим требованиям научно-критического издания.

Полагаем, что настоящее издание „Деяний“ будет встречено не без чувства удовлетворения и в кругах исследователей историко-литературных вопросов, касающихся этого памятника.

А. Шанидзе

24.1.1950.

Тбилиси

вают внимания. Ожилая в груз. тексте „сириазмов“, он натолкнулся на большое количество „западных“ чтений. Для того, чтобы особенности грузинского текста были понятны и для лиц, не знающих грузинского языка, он весь отрывок афонской рукописи (Дея. 5,37—7,23 и 7,38—8,20) перевел на греческий язык и снабдил его своими примечаниями.

Что же касается статьи Т. Клуге (Th. Kluge, Die georgischen Übersetzungen des Neuen Testaments: там же, 1911, Heft 4, стр. 344—350), то она представляет собой с начала до конца сплошной курьез.

၇ ၀ ၅ ၁ ၈ ၈ ၂ ၆ ၉ ၃ ၁ ၂ ၈ ၁

„საქმე მოციქულთა“ ქართული ენის ერთ უძველეს ძეგლთაგანია. ოთხთავთან ერთად ის ძირითადი წიგნია ქრისტიანული მოძღვრების წესიერ, რის გამოც ის აღრევე უნდა ეთარგმნათ ქართულად (IV—V ს.ს.-ში).

სამწუხაროდ, ამ ძეგლის ადრინდელ ნუსხებს ჩენიაშლის არ მოუღწევია. სამოციქულოს უძველესი მთლიანი ნუსხები, რომლებშიც საქმე მოციქულთა არის წარმოდგენილი, როგორც შემადგენელთ ნაწილი სამოციქულოსი, მხოლოდ X საუკუნისა მოვალეობება, ისიც უმთავრესად მისი მეორე ნახევრისა, როგორც ამის მათი გადაწერის თარიღი ან პალეოგრაფიული ნიშნები არკვევს.

როცა ამ უძველეს ნუსხებს ტექსტობრივად ვადარებოთ ერთმანეთს, იმკვება, რომ მათ შორის ასეთი ურთიერთობაა: ერთ წყებას (A-სა და K ნუსხებს) ერთნაირი ტექსტი გაიჩნია, ხოლო მეორეს (C-სა და D-ს) — მეორენაირი, ისე რომ ისინი სხვადასხვა რედაქტიას უკუთვნიან. პარალელური შესწავლით ისიც ნათელი ხდება, რომ ერთი რედაქტია (T) წინ უსტრებს მეორეს (P-ს), პირველი იმოსავილი ჩანს მეორისათვის. აქედან კი ცხადია, რომ პირველი შათვანი ა საუკუნეშვე გაცილებით უფრო აღრეა შეცუშვებული ქართულად, როდესაც გადაუწერიათ ჩენიამდე მოღწეული ხელნაწერები.

ამ ორ რედაქტიას გარდა, ჩვენ კიდევ მოვალეობება ამავე ძეგლის ორი მერმინდელი რედაქტია 'I. და 'S, რომელთა რედაქტორებიცა და ხანაც კარგად ცნობილია ჩენენოვის.

რით უნდა იყოს გამოწვეული საქმე მოციქულთას და, საზოგადოდ, სამოციქულოს ახალ-ახალი რედაქტირები? ამ კითხვაზე პასუხს ზოჯვერ რედაქტორებთანცვე ვპოულობთ, მაგ., უკანასკნელი რედაქტორის ეფრემ მცირის ანდერში. ეს ანდერძი, როგორც ცხადი გაიდება ამ გამოცემისათვის, გამოყენებული ხელნაწერების ქვემოთ წარმოდგენილი აღწერილობიდან, დართული აქვს (ამჟამად რამდენადმე ნაკლული სახით: აკლია თავსა და ბოლოს) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულ სამოციქულოს ერთ-ერთ ნუსხას (A 677, II ლიტერით წარმოდგენილს გამოცემაში), რომელიც ხელის მხედვით¹ XII—XIII ს.-ისა უნდა იყოს. ანდერძი სრული სახით წარმოდგენილი ყოფილა იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოს წიგნთაცავის ქართული ხელნაწერების კოლექციის ხელნაწერში (ა. ცაგარლით № 135-ში, 6. მარით № 25-ში და რ. ბლეიკით № 16-ში), რომელიც სამოციქულოს კომენტარიებს შეიცავს და რომელსაც,

¹ თ. ეორდანია, Описание рукописей..., кн. II, стр. 151. ანდერძი ნ. ჭვემოთ აღწერილობაზი, ნუსხის აღწერის ბოლოს (გვ. 029—031).



ნ. მარის ოლქერილობის მიხედვით¹, შემდეგი სათაური აქვს: „შემოქრეცული ტარგმანი ტარგმანისა მამისა ჩუნისა ითან იქროპირისა კოსტანტინებოლელ მზ ვარეცხს-კოპისისა განვრცელობითთა თარგმანთაგან შემოქრეცული² თარგმანებად საქ-შის მოციქულ იახა, რომელს შინა იშვი დაერთების სხუათაცა წმიდათა თარ-გმანებულისაგან მოკლე ძალი სიტყვასად“.

სამოციქულოს ეს კომენტარიები, როგორც სათაურიდან ჩანს, „შემოქრე-ცული“ თარგმანები ყოფილა საქმე მოციქულთას ითან იქროპირის სიტყვული ვრცე-ლი თარგმანებისა, მათ აյა იქ ჩართული ჰქონია სხვების თარგმანებიდან გამო-კრებილი მოკლე კომენტარიებიც. ნ. მარის ოლქერილობით ამ წიგნს წინ უძლ-ვის „განვრცელება თავთა წმიდათა მოციქულთა საქმისად“ ($1a^1-2a^1$), ე. ი. სა-მოციქულო წიგნის პირველი ნაწილის—საქმე მოციქულთას—იმ წინასიტუა-ობის ერთ-ერთი ბოლო თავი, რომელიც ჩვეულებრივ თავში აქვს გიორგი მთა-წმიდლისა და ეფრემ მცირის ნარედაქციავ ნუსხებს. მეტე კი მას ეფრემ მცი-რის სემონსხენებული ანდრეძი მოსთევს ($2a^1-3b^1$), რის შემდეგ იწყება თვით თხზულება ($4a^1-210a^1$). ხელნაწერი არ მთავრდება საქმე მოციქულთას კომენ-ტარიებით. შემდეგ მათ კათოლიკ ეპისტოლეთა კომენტარიები მისვება, სა-ღაც თვითეულ ეპისტოლეს ისეთივე წინასიტუაცია მოვპოვება, როგორიც სა-მოციქულო წიგნების იმ ნუსხებშია წარმოდგენილი, რომლებიც გიორგი მთა-წმიდლისა და ეფრემ მცირის რედაქციებს განცემულება. ეს კომენტარიები აქ 280 ფურცლამდის ალწევს და შემდეგ უნდა წყდებოდეს. მერმე მოსთევდა ალ-ბათ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარიებიც, რომელსაც პ. პავლელიძემ საქართვე-ლოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდის ერთ ხელნაწერში მია-შეღლია (№ 390)³. ამრიგად, ზემომრე აღნიშნული ანდრეძი იერუსალიმშულ ხელნა-წერში დართული ჰქონია და შეეხება არა მხოლოდ საქმე მოციქულთას თარ-გმანებას, რომელსაც ის უძლევს წინ, არამედ მოელი სამოციქულოს თარგმანე-ბას, რომელიც, როგორც საქმე მოციქულთას სათაურშივეა აღნიშნული, ეფ-რემს ბერძნულიდან გადმოულია შემოქრებით (ანუ გამორჩევით, სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოქრებით, ე. ი. შემოკლებით), უმთავრესად ითან იქროპი-რის ვრცელი თარგმანებიდან⁴.

ხსნებული ანდრეძი, თუ მის შინაარსს დავუკვირდებით, დაწერილი ჩანს პირველ ყოვლისა ასეთი კომენტარიებიანი სამოციქულოსათვის. ის გარემოება,

¹ H. Mapp. Краткое описание греческих рукописей библиотеки православного греческого патриархата в Иерусалиме (გამოუქვეყნებულია; ხელნაწერი დაცულია ლუმინგრაფ-ზი: ГАИМК, Кабинет Mappa, № 2925. მისი ფორმის მოვპოვება საქართველოს სახელ-შიციფ მუზეუმი, რომელიც მას გამოსაქვეყნებლად აშშადეს).

² რ. ბლეიკის წაკითხვით: „შემოკლებული“ (მისი ალწერილება № 16).

³ პ. ტეკელი იმპ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. გვ. 232, თბილისი, 1941 წ.

⁴ ამას დასახლებული ხელნაწერი ერთი მინაწერიც აცხადებს თუაშე: „ხოლო ითარ-გმანა ბერძულისაგან ქართულად წიგნი ეს დირსის ეურემ კარიჭას მისა მიერ, რომელისა ქსე-ნებად და კურთხველა სკრინ“ (279 ბ). უგველაა, რომ აქ მისახსენებული ეფრემ კარიჭას და ეფ-რემ მცირეა. იგი პ. ტეკელის მეტეცებით, ტაოლი უნდა იყოს.

ეფრემის სამრეკო საქართველოდან წარმოშემობილი უნდა მიგვითითებდეს სამოციქუ-ლოს თარგმანების კაბადონის კიდევთ ერთგან გატანილი ეფრემის შენიშვნაც „სკოლორიონის“ განმარტებისათვის: „შეისწავე, რამეთუ ამას ს ჯ ნ ო ლ ი რ ს ს ა, რომელ არს თანა-მოსარჩ-

რომ ეს ანდერძი უკომენტირიო სამოციქულო წიგნსაც ახლავს (მაგ., ჭრის შემთხვევაში), არ უნდა გვიუცხოვოს; სამოციქულოს სხვადასხვა პერმენელი კომენტარიების შესწავლისა და შემოცლებულად გადმოღების დროს უფრე მცირეს, ეტყობა, შეუნიშნავს, რომ განსამარტებლად აღებული გიორგი მთაწმინდლის სამოციქულოს ტექსტი აქა იქ შესწორების მოითხოვდა¹. გიორგი მთაწმინდლის ფრონტიტის პატივისცემით ეფრემს მიხამშეწონილია არ მიუჩინვია, შეეცვალა სამოციქულოს ტექსტი, და ინიო დაკმიყოფილებულა, რომ შესასწორებელი სიტყვებისათვის პირობითი ნიშნები („ოოტა“ და „უსაკუთრესი“) და უსაბომ ტექსტში და იგვე ნიშნები გაუტანია სტრიქონის გასწროვ აშევბზე. რათა ეჩვენებინა, რომ ესა თუ ის სიტყვა ან აღილი ჟელმიწივნითი არ არისო. ასეთივე ნიშნები უხმარია მას მის მიერ დართულ კომენტარიებში ანუ „თარგმანში“, სადაც მას ტექსტის სიტყვები უკვე გაუმართავს. „გვევდრები ყოველთა, — ამბობს ის ერთგინ ანდერძში — რადთა პავლესა შინა გინა სხვასა სამოციქულოს ამათ თარგმანთაგან ცვალებული სიტყუა არავინ ჩატროთ, არამედ უცვალებელად იპყართ... ვითარესე მეცა შისისაც (ე. ი. გიორგი მთაწმინდლისაც. ი. აბ.) თარგმანილისაგან დამიწერიან აქა შინა სამოციქულონი სიტყუანი“.

ასეთი პირობითი ნიშნების მიწერისა და ტექსტის ხელ-შეუხებლობას ავალებს ის გადაძნელოთ. მიღწეული ნუსხების შესწორებით კი ირკვევა, რომ ეფრემის დავალება არ შეუსრულებიათ. იერუსალიმის ნუსხის შესახებ ნ. მარი აღნიშნავს (იც წერილობაში, რომელიც ჯერ ვამოუქვეყნებელია), რომ ანდერძში აღნიშნული პირობითი ნიშნები, რომელთა დაცვის ეფრები მოითხოვს, ნუსხაში აღარსად მოპოვებათ. არ მოიპოვებიან ისინი არც თბილისურ ხელნაწერებში. უნდა ვიფიქროთ, რომ, გაფრთხილების მიუხედავად, შემდეგი დროის გადაძნელებმა ეფრემის შესწორებანი ტექსტში შეიტანეს, რის გამო აღარ იყო საფუძველი ნიშნების დაწერისაოცეს ტექსტში და აშიახე. გადაძნელების პირველ ყოველისა ასე იქ მოიქცეოდნენ, სადაც სამოციქულოს ტექსტს კომენტარიები ანუ თარგმანები ახლდა. შემდევ კი მათ ჩამოუშორებით კომენტარიები, შესწორებული სამოციქულოს ტექსტი ცალკე წიგნიდ გამოიულიათ და, ამგარენდ, გიორგი მთაწმინდლის სამოციქულოს გვერდით ეფრემის ნარედაც ციიცი სამოციქულო წარმოუდგენით. ეს ახალი რედაქცია გიორგისეული რედაქტირისაგან დიდად არ განსხვავდება, როგორც ამას ჩატრის გამოცემაში ერთიმეორის პარალელურად მოთავსებული წარმოუდგენისათვის ტექსტში გვიჩვენებს. ასეთი მცირე განსხვავების გამო შეიძლებოდა წარმოუდგენისათვის ტექსტში განსაკუთრებულ რედაქტირიად არც კი მიგვეჩინა, რომ არ

ლე, მესთა მიერ ვარ კირი ჰქვან, მიხადებით მოყვანებულსა მოსარჩევსა (ნახე ნ. მარის აღწერილობა). ცხადია, ეფრემი მეტაზურ მეტყველებას იმიტომ მიმართავს, რომ ის ოვითონ მესამა.

სხვათა შორის, სულან-ს. ბ. რაბბელიანის განმარტება „სკოლორიოს“ სიტყვისა, რომელიც მას თავის ლექსიკონში „ვაქოლ“ სიტყვასთან მოჰყავს, ამ წევარისთან ურთა ადიდეს უშუალოდ ან სხვა წევის შეალორით: „ვაქოლი თანამოსარჩელ“. ვაქოლი მისდევრი მოსარჩდე, რამელ არს სკოლორისი“ (სკოლორისი ჩ).

¹ განსამარტებელი ტექსტის ადგელებს ნუსხაში „მოცემულისაც“ ანუ ანდერძის „სიტყუა სამოციქულო“ ეწოდება, ხოლო მათხე დართულ თვითულ გამარტებას — „თარგმანი“.



გვქონოდა ეფრემის ანდერძი, სადაც ზედმიშვენით არის აღნიშნული უკავშირებული გარეული მუშაობა, იქითქენ მიმართული, რომ სამოციქულოს ქართული თარგმანი მაქსიმალურად დაახლოვებოდა ბერძნულ დედანს. ეფრემისეული რედაქციის სიზუსტე და ბერძნულთან სიახლოვე უნდა იყოს იმის მიხეხიც, რომ ამ ტექსტმა მეტი წლით მოიპოვა ჩვენში, რაც იქიდან ჩანს, რომ სამოციქულოს მოლექულ ხელნაწერებში უფრო მეტი რაოდენობით ეფრემის რედაქციისა გვხვდება.

გიორგი მთაწმიდელი თავისი ნამუშავევის ანდერძში აცხადებს, რომ ეს წიგნი შე „გლახაკმან გიორგი ხუცეს-მონაზონმან ეკარგმან მთაწმიდას სულიერისა მოძლურისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა და მაღლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკურველსა“¹. მთარგმნელიად ჰყავს მოხსენებული გიორგი მთაწმიდელი ეფრემ მცირესაც თავის ზემოთ მოხსენებულ ანდერძში, სადაც გიორგისეული რედაქციის ერთი თავისებურებაც არის აღნიშნული. გიორგის თარგმანს ეფრემი იწონებს, საერთოდ ხელ-უხლებლად სტოვებს მის ტექსტს, ოღონდ აქ-იქ ზოგიერთ სიტყვას თუ ადგილს არ მიიჩნევს დედნის ზედმიშვენით შესაბამისად და ამას ხსნის „არა ევოდენ სხვა რახსე მიხეხისაგან, რაოდენ ძეულისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია“². ასეთივე ვითარება ყოფილი დავითის გიორგისეულ პირველ თარგმანშიც, რის გამოც ეს წიგნი ხელ-ახლა გაუშართოინებია ზემოხსენებულ მის მოძღვარს გიორგი დაყუდებულს, შავი მთის დიდ ქართველ მოღვაწეს. აქიდან, სხვათ შორის, ნათლად ჩანს დამოკიდებულება შავი მთის ქართული ფილოლოგიური სკოლის წარმომადგენლებისა (რომელთაც ეფრემ მცირე (ეკუთვნოდა) თარგმნის საკითხებსაცმი, კერძოდ, თუ რაოდენ ზედმიშვენილობას იცავდნენ ისინი რომელიმე ძევლის თარგმნისას.

გიორგი მთაწმიდელი რომ პირდაპირ კი არ თარგმნიდა, არამედ სამოციქულოს ძეველ ქართულ თარგმანებშიც იხედებოდა და ხშირად მართლაც მათ წაპყებოდა ხოლმე, როგორც ამას ეფრემი ამბობს, ეს ჯადლივ ჩანს, როცა მის რედაქციის წინა დროის სხვა რედაქციებს უყდარებო. ასეთი რედაქციები დღეს-დღეობით ჩვენ ორი ვიცით (ც და ჭ). გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ტექსტის შათთან შედარება გვირვევს, რომ გიორგის ამ ორი რედაქციისაგან უფრო მეტად ჭ რედაქციით უსარგებლნია.

გიორგი მთაწმიდელი რომ კარგად იცნობს ჭ რედაქციას (კერძოდ მის ერთ ნუსხას, D-ს), ეს შემდეგითაც მტკიცდება: ერთგან (საქმე 20,28) მას ტექსტისათვის შენიშვნა დაურთავს, რომ სიტყვები „ზესხა მას ზედა სამლელოსა და პატივსა დამტკიცებულსა ზაქარიასასა“ ბერძნულად ვერ მიპოვნიათ. თუ რა უწლოდა, ამით ეთქვა გიორგის, ამის პასუხს გვიძლევს ამ მუხლის ტექსტის შედარება ძევლი ქართული თარგმანების სხვა რედაქციების სათანადო ადგილთან. ირკვევა, რომ ეს ფრაზა მხოლოდ ჭ რედაქციის ნუსხას დაუცავს. ამრიგად, გიორგი მთაწმიდელი (როგორც ამას თვით აღიარებს და ეფრემ მცირე ადასტურებს) სამოციქულოს გადმოთარგმნისას ანგარიშს უწევს ძეველ თარგმა-

¹ 6. ძევმოთ E ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 022.

² 6. ეფრემის ანდერძი ქვემოთ H ხელნაწერის აღწერილობაში, გვ. 029.

ხ ღ ლ ნ ა ჭ ე რ ე ბ ი

საქმე მოციქულთას წინამდებარე გამოცემა ოთხ რედაქციას წარმოვაიდგენს. ოთხზე მეტი რედაქცია ჯერ-ჯერობით არ ჩანს. პირველის, უძველესი (I) რედაქციისა თრი ნუსხა მოვცემოვება: A და K, მეორე რედაქციისა (II) — ორი: C (ნაწყვეტებად) და D (მთლიანად). რაც შეეხება მესამე და შეოთხე რედაქციას, მათი ნუსხები შედარებით მრავლად არსებობს, მაგრამ ჩვენ რამდენიმე ძველი ნუსხა შევარჩინეთ: შესამისათვის (III) ორი: E და F, მეოთხისათვის (IV) კი—სამი: G, H და I.

C რედაქციის ნუსხი

A

A ხელნაწერი (S 407) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. იგი ეუოვნის ხელნაწერია S ფონდს (ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის).

ხელნაწერი შედგება 265 ფურცლისაგან, ჩამულია ტყავ-გადაკრულ ფიც-რის ყდაში (რომელიც ამებად შემოცლილი აქვს), ნაწერია მრგლოვანი ხელით კარგ ეტრატზე ორ სვეტად შავი საწერლით, გარდა სათაფრებისა და ზოგიერთი საგანგებო აღგილისა, რომლებიც წითლად არის ნაწერი.

ზომა ხელნაწერისა: 25,2×21,3 სმ., ტექსტია სიმაღლით 18,5—19 სმ., სიგანით—13,5 სმ. (სვეტებს შორის გაშევებულია დაუშერლად 1,5 სმ.). სვეტში 23 სტრიქონია (ფ. ფ. 1—25) ან 20 (დანარჩენ ფ. ფ.—ზე).

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით. გადამწერის კინაობა უცნობია, რადგან ხელნაწერს ამის მაუწყებელი ანდერძი არ მოეპოვება. იგი მოსალოდნელი იყო თავსა ან ბოლოში, მაგრამ ერთიცა და მეორეც დღეს ხელნაწერს აკლია.

ხელის მიხედვით ხელნაწერი X ს.-ისა უნდა იყოს.

ხელნაწერში რვეულების სათვალავი ქართული ასოებით არის გადამწერი-სავე ხელით დასმული. რვეულები 8-8 ფურცლისაგან შედგება, გარდა კდ (24-ე) რვეულისა, რომელშაც 10 ფურცელია.

პირველ რვეულს ერთი ფურცელი ეკლია დასაწყისში; ხელნაწერს მთლიანად აკლია ორი რვეული: ივ (მე-16, 119-ე ფ.სა და 120-ე ფ.-ს შორის) და ლდ (34-ე, 257-ე და 258-ე ფ.ფ.-ს შორის). წყდება ხელნაწერი ლე (35 ე) რვეულზე. რამდენი რვეული უნდა აკლდეს ამის შემდეგ, არ ვიცით. თუ ხელნაწერში მარტო სამოციქულო (ე. ი. პავლეს ეპისტოლენი, საქმე მოციქულთა და კათოლიკე ეპისტოლენი) შედიოდა, მაშინ მას დაახლოებით 1 ან 2 რვეულია მკლება.

პირველი ოთხი რვეული (1 r — 30 v) შეიცავს ე. წ. „ევთალეს სტრიქონე-ტრიის“, რომელსაც დასაწყისში, როგორც აღინიშნა, ერთი ფურცელი აკლია. შვთალეს სტრიქონეტრია მხოლოდ პავლე მოციქულის ეპისტოლებს შეეხება. სამოციქულოს დანარჩენ ნაწილებს ასეთი რამ არ გააჩნიათ.

სამოციქულოს ტექსტი პავლეს ეპისტოლებით იწყება, რომელთაც უკი-რავთ ფ.ფ. 32r—85r ეს ეპისტოლები შემდეგნაირად არის განლაგებული:

1. წიგნი პრომელთა მიმართ (32r—60r);
2. წიგნი კორინთელთა მიმართ ა (60v—87r);
3. წიგნი კორინთელთა მიმართ ბ (87r—106r);
4. წიგნი გალატელთა მიმართ (106r—115r);
5. წიგნი ეფესელთა მამართ (115v—ბოლო-ნაკლულია);
6. [წიგნი ფილიპელთა მიმართ] (120r—123v; თავ-ნაკლულია);
7. წიგნი კოლასელთა მიმართ (124r—131r);
8. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ა (:31r—137r);
9. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ბ (137v—141r);
10. წიგნი პებრაელთა მიმართ (141v—166r);
11. წიგნი ტიმოთესა მიმართ ა (166r—175v);
12. წიგნი ტიმოთესა მიმართ ბ (175v—180v);
13. წიგნი ტიტესა მიმართ (181r—184r);
14. წიგნი ფილემონისა მიმართ (184r—185r).

პავლეს ეპისტოლებს მოსდევს „საქმე წთა მოციქულთად“, რომელიც კა (25-ე) რვეულით იწყება და ლგ (33-ე) რვეულის მე-7 ფ-მდის აღწევს, ე. ი. დღევანდელი პავინაციით უკირავს ფ.ფ. 186r—256r.

საქმე მოციქულთას უშუალოდ მოსდევს კათოლიკე ეპისტოლენი, სახელ-დობრ:

1. იაკობისი კათოლიკ (256v—257v; ბოლო-ნაკლულია);
2. [წიგნი პეტრესი ა] (258r—262v; თავ-ნაკლულია);
3. წიგნი პეტრესი ბ (263r—ბოლო-ნაკლულია, წყდება 265 რ-ზე).

ოთხი დახარჩენა ეპისტოლე სრულიად დაყარგულია, რაღაც, როგორც აღნიშვნელ, ხელნაშერს პოლო იღარ შემორჩენია.

ხელნაშერში მოიპოვება ერთი მინიატურა — პავლე მოციქულის გამოხატულება, მოელი ტანით (31 v).

ნუსხაში ვტვდებით გადამწერის ხელით (ნუსხურით) შესრულებულ მინაშერებსაც: 1. „ე შე გლო-ჟე ს-ლითა“ (სახელი მოფხევილია — 60r., სინგურით); 2. „ი-კ ქ-ს ალუქოცენ კ-ლნი ბრალნი მონასა შენსა“ (სახელი მოფხევილია და მერმინდელი სხვა ხელითა და მელნით ჩაწერილია: „ბ-რსილს ბერს“, შევი საწერლით, 256r.).

ხელნაშერში ერთგან მოიპოვება გვიანდელი ღროძი მინაშერიც ასომთავრულად (31 r-ზე), რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იყითხება: „მდინარეო სიბრძნისათ, უფსერულო სწავლითოთ, ქნარო ამისა ძალისათ, ნესტო კმა-ტებილად მჯმობარეო, პავლე, მწე მეუყვა ბატონიშვილს ვახტანგს, ამინ. ქრონიკონს“

K5.097
Y



ტპშ, დასაბამიდგან შვიდი ათას [ორ]*ასას*. ქრონიკონიცა და ტაბახიშვილების ნიც ჩენი შელთაღრიცხვის 1700 წელს იძლევა ($387+1312=7200-5500$). ვახტანგ ბატონიშვილი კი ამ დროს ვახტანგ VI-ი; მაშასუბამე, ეს სამოციქულო ვახტანგ VI-ის ნაქონია.

K

ჩ ხელნაწერი (S 1398) იქვეა დაცული, სადაც წინა ნუსხაა. იგიც, მსგავსად პირელისა, S ფონდს ეკუთვნის.

ხელნაწერი შედგება 147 ფურცლისაგან, უყდოა, ნაწერია ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატშე ორ სკეტრად შვით საწერლით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი საგანგებო ადგილისა, რომლებიც წითლით არის შესრულებული.

ზომა ხელნაწერისა: 25×20 სმ., ტექსტის სიმაღლეა 18 სმ., სიგანე—12,5 სმ. (სვეტებს შორის დაუწერლად გაშეებულია 1,5 სმ). სვეტში 20 სტრიქონია.

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით. გადამწერის ენიამბა უცნობია, რაღაც ხელნაწერს ამის მაუწყებელი ანდერძი, რომელიც თავსა ან ბოლოში უნდა ჰქონდა, მათი დაკარგვის გამო, იღარ მოეპოვება.

გადამწერის ხელით შესრულებული ერთი მინაწერი მხოლოდ მომგებელს იხსენიებს: „დიდებად ღმერთსა, ყოვლისა კეთილისა მიზეზსა, განსრულდა პავლი. ისუ ქრისტე, ადიდე ორთავე სუფევათა მონაც შენი თე (=თევდორე); მომგებელი ამის წიგნისაც! ამენ“ (75v). არსაიდან ჩანს, თუ ვინ არის ეს თევდორე და სად და როდის ცხოვრიობდა ის.

ხელის მიხედვით, რომელიც დიდად ჩამოგვაეს შატბერდის ცნობილი კრებულისას, ხელნაწერი X-ს-ისაა, დაახლოვებით 70-იანი წლებისა.

ხელნაწერში რვეულების საფალავი ქართული ასოებით არის გადამწერისავე ხელით დამუშავი. რვეულები 8-8 ფურცლისაგან შედგება.

ნუსხას, როგორც ითქვა, თავსა და ბოლოს აკლაა. დღეს იგი ივ (მე-16) რვეულით იწყება; მაშასადამე, აქ წინ მას 15 რვეული (ე. ი. 120 ფურცელი) ჰქონდია. ბოლო ლდ (34-ე) რვეულზე წყდება (ამ რვეულისა მხოლოდ 6 ფურცელია გადარჩენილი). ხელნაწერის კ (მე-20) რვეულს ერთი ფურცელი იკლია, ასე რომ დღეს იგი 149 ფ.-ს შეიცავს: [(8×19)-(2+1)]. თუ იმავე შედგენილობისად მივიჩნევთ ამ ნუსხას, როგორადაც წინა (A ხელნაწერი) ვივარაულეთ, მაშინ მას ბოლოში ოთხიოდე რვეული უნდა აკლდეს.

სამოციქულოს შემადგენელი ნაწილები ამ ხელნაწერშიაც ისეთივე რიგით არის დალაგებული, როგორც პირველში (A-ში) იყო: ჯერ პავლეს ეპისტოლენი და მერმე საქმე მოციქულთა. უკანასკნელად უნდა ყოფილიყო კათოლიკებისტოლენი, რომელნიც ნუსხას აკლია.

ამეამად ნუსხას სამოციქულოს შემდეგი წიგნები აბადია:

I. პავლეს ეპისტოლენი თავან:

1. წიგნი ეფესოსთა მიმართ (1r—11r; დასაწყისი აკლია**);

* თუ ასე არ გაიმართა, ისე დასაბამითვანი ქართ. ქრონიკონის ანგარიშს არ შეხვდება.

** A-ს ბოლო აკლია, აქ კი დაცულია, რაც შესაძლებლობას იძლევა, ეს ეპისტოლენ მთლიანად იქნეს ალდებრილი.

2. წიგნი ფილიპელთა მიმართ (11v—18r*);
3. წიგნი კოლასელთა მიმართ (18r—25r);
4. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ა (25r—31r);
5. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ბ (31r—33v);
6. წიგნი ჰებრაელთა მიმართ (34r—57r);
7. წიგნი ტიმოთესა მიმართ ა (57v—65r);
8. წიგნი ტიმოთესა მიმართ ბ (65v—70ა r);
9. წიგნი ტიტესა მიმართ (70ა v—73v);
10. წიგნი ფილემონისა მიმართ (74r—75r).

როგორც ვხედავთ, ამ ნაწილს თავში აკლია მთლიანად პავლეს ოთხი ეპისტოლე (პრომანელთა მიმართ, კორინთელთა მიმართ ა, კორინთელთა მიმართ ბ და გალატელთა მიმართ), ხოლო ნაწილობრივ—მომდევნო წიგნის დასაწყისი; დაქლებული ნაწილი დაახლოებით 90-ოდე ფურცელს უდრის (ანუ 11-ოდე რვეულს). ჩანს, რომ, მსგავსად A ხელნაწერისა, აქაც, სამოციქულოს დასაწყისში, ვთალეს სტიქომეტრია ყოფილა წამდლვარებული, რომელიც ამ ნუსხის 4-ოდე რვეულს დაიკავებდა. ერთად ეს დანაკლისი, გართლაც, 15 რვეულს უდრის (მე-16-ით, როგორც აღვნიშნეთ, იწყება დღვანდელი ნუსხა).

II. საქმე მოციქულთა თითქმის მთლიანად არის დაცული. იგი იწყება კვ (26-ე) რვეულით (76r) და წყდება ლდ (34-ე) რვეულის მეექვსე ფურცელზე (147v). ეს ნაწილი ამ რვეულით უნდა დამთავრებულიყო, ვინაიდან პისი დაქლებული 2 ფურცელი იმაზე მეტს ვერ დაიტევდა, რაც ამ ნაწილის ტექსტს აკლია ბოლო თავებში.

ხელნაწერი ამზე წყდება და, როგორც აღვნიშნეთ, მას აქ აკლია 4-ოდე რვეული, რომელზედაც მოთავსებული იქნებოდა სამოციქულოს უკანასკნელი ნაწილი: კათოლიკე ეპისტოლენი.

¶ რედაქციის ნუსხები

C

C ხელნაწერი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდშია დაცული (№ 176). იგი ნაწერია მრგლოვანი ხელით კარგ ეტრატზე ორ სკეტზ შავი საწერლით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი საგანგებო ადგილებისა, რომელციც წითლით არის შესრულებული.

ზომა ხელნაწერისა: 40×25 სმ., ტექსტის სიმაღლეა 34 სმ., სიგანე—20,5 სმ. (სკეტზებს შორის გაშვებულია დაუწერლად 1,5 სმ.).

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით. გადამწერის ვინაობა უცნობია, რადგან ხელნაწერს აკლია თავსა და ბოლოს, სადაც მოსალოდნელი იყო ამის მაუწევებელი ანდერძი.

ერთგან (115v) მოიპოვება გადამწერის ხელით წითლად შესრულებული მინაწერი: „უფალო იქსუ ქრისტე, შეუდვენ ყოველნი ბრალნი ზაქარია მამათ

* A-ს დანაკლისი აქაც იქსება.



მთავართა მთავარსა და დაასაყდრე წმიდათა მოციქულთა თანაფლულობის სული მათი, ამზე⁶. აქ მოხსენებული პირი უნდა იყოს ცნობილი ზაქარია გალაშერტელი, რომელიც XI ს.-ის 30-იანი წლების მოღვაწედ ჩანს. მინაწერის მიხედვით ის გარდაცვლილად იხსენიება; ამიტომ აშკარაა, რომ ეს ხელნაწერი (თუ მართლაც მის მინაწერში მოხსენებული ზაქარია ცნობილი ზაქარია გალაშერტელია), გადაწერილი უნდა იყოს XI ს.-ის პირველ ნახევარში, არა უადრეს ამ საუკუნის 40-იანი წლებისა.

ხელნაწერი იწყება ოთხთაფით. ამის მოსდევს მერმე სამოციქულო. სამოციქულოს ნაწილები იხსე დალაგებული, როგორც ეს ზემოთ აღწერილებში იყო. აქაც ჯერ პავლეს ეპისტოლების (96r—164v), რომელთაც წინ უძლვის ე. წევთალეს სტიქომეტრია ამ ეპისტოლებისა (87r—95v) და ესეც ისეთივე ტექსტია, როგორიც A-სა აქვს. ამ ნაწილს საქმე მოციქულთა (165r—173v) მოჰყება. იგი შემოლოდ 9 ფურცლია არის წარმოდგენილი. კათოლიკე ეპისტოლები კი სრულიად აღარ გააჩნია ხელნაწერს, დაკარგულია. საერთოდ, ხელნაწერი კველა მის ნაწილშია მეტ-ნაკლებად ნაკლულევანი ფურცლების დაკარგვის გამო.

საქმე მოციქულთას მოღვაწეულ 9 ფურცელზე ორი ნაწყვეტია: პირველი შეიცავს ტექსტს 9,1—10,9-ისას, ხოლო მეორე—12,8—16,32-ისას.

D

D ხელნაწერი ათონის მონასტრისაა; რ. ბლეიკის აღწერილობით¹ ის №42-ად არის აღნუსხული, ხოლო ა. ცაგარლის აღწერილობით²—№11-ად.

ეს ხელნაწერი შედგება 237 ფურცლისაგან, ჩასმულია მუყაოს ყდაში, ნაწერია ნუსხა-ხუცური ხელით კარგ ეტრატებე თუ სკუტად შავი საწერლით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი საგანგებო აღვილებისა, რომლებიც წითლით არის შესრულებული.

ზომა ხელნაწერისა 223×172 მმ. ტექსტის სიმაღლეა 182 მმ., სიგანე—118 მმ. (სვეტებს შორის 18 მმ. დაუწერლადა გაშვებული). სვეტში 23 სტრიქონია.

ტექსტი ნაწერია ერთი ხელით. გადამწერის ვინაობა უცნობია. სამაგიეროდ ხელნაწერის ანდერადი, რომლის ბოლო გაღეკვილია, ცნობილი ხდება მომგებელი, დაწერის აღგილი და დრო: „მე მიქელ გლახაკმან, სახელიდ ხუცუსმან, უნარჩევესმან³ მღდელთამან, მოვიგე წმიდა ესე პავლე განზრახვითა მოძღვრისა ჩემისა გიორგისითა და შეწევნითა იოვანე კახისათა⁴. დაიწერა

¹ Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, par R. P. Blake. Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3 série, t. IX (XXIX), № 3 et 4 (1933—34), pp. 225—272 (ხელნაწერის დაახსიათებისას ჩეენ უმთავრესად ამ აღწერილობით გხელმძღვანელობთ).

² А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск I. СПб., 1886, გვ. 76.

³ უნარჩევლესმან ც (რ. ბლეიკს გამოტოვებული აქვს სიტუები: უნარჩევესმან მღდელთამან).

⁴ განზრახვითა... კახისათა] რ. ბლეიკს გამოტოვებული აქვს ეს სიტუები.

წმიდასა მთასა ოლინბოჩესასა, ¹ საყოფელსა წმიდათა კოშმან-დამიანეთაში, შეკრისტიანებულისა რიარქობასა კოსტანტინეპოლეს პოლიოკტონესა, მეფობასა ნიკიფორესა...

მე მიქაელ მღდელმან,
ზეკეპე ბერმან,
ქუბისა შეილმან,
ბერთას ალზრდილმან, ²
ესე წმიდად ³
პავლე მოვიგე.“

ძეიდინ ილკევა, რომ ხელნაწერის მომგებელია მიქაელ მღვდელი, დაწერის ადგილია ულუმბო (ე. ი. ოლიმპოს მთა, ბითვინიაში), ხოლო დრო—ზეობა კეისრის ნიკიფორე ფიქსი (959—969) და კოსტანტინეპოლის პატრიარქ პოლიოკტონი (956—970), ე. ი. X ს-ის 60-იანი წლები.

სამოციქულოს ნაწილები ძეიც ისეა დალაგებული, როგორც ზემოთ გან-ზილულებში: ჯერ პავლეს ეპისტოლებია (1v—124r), მერმე საქმე მოციქულთა (124r—194v) და ბოლოს კათოლიკე ეპისტოლენი (194v—222r).

სამოციქულოს ბოლოს დართულია იმავე ხელით ნაწერი ერთი აგიოგრა-ფიული ტექსტიც, სახელდობრ: „თოთუსა იენისა კ—თ—წამებად წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი“ (222r—235v).

236r-ზე მოიპოვება ანდერძიც, საიდანაც საგულისმო აღგილი ზემორე მოვიყეანეთ.

7. რედაქციის წესები

E

E ხელნაწერი (A584) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. იგი ეკუთვნის ხელნაწერთა A ფონდს (ყოფილ საეკლესიო მუზეუმს).

ხელნაწერი შედგება 265 ფურცლისაგან, რომელთაგანაც 249 ფურცელი ეტრატია და ძველ ნუსხას წარმოადგენს, ხოლო 16 ფურცელი ქალალდა და ახალ დროს, XVIII ს.-ს, ეკუთვნის. ხელნაწერი ჩასმულია ტყვევადაკრულ ფიც-რის ყდაში. ძველი ნაწილი ნაწერია ნუსხა-ხუცურით, როგორც ილენშნეთ, ეტ-რატზე, შავი საწერლით, გარდა სათაურებისა და საგანგებო აღგილებისა, რომ-ლებიც წითლით არის შესრულებული.

¹ ოლინბოჩესასაც

² ბერთა ალზრდილმან ბ.

³ იყითხე: წმიდაი.



ზომა ხელნაწერისა: 16×10 სმ., ტექსტის სიმაღლეა 12 სმ., შრეცვებულის გვერდის 7 სმ., კაბადონი 25-26 სტრიქონს შეიცავს.

ხელნაწერის ძირითადი ნაწილი ნაწერია თავიდან ბოლომდის ერთი ხელით. საბეჭდინეროდ, ნუსხას მოვალეობა მეტად საგულისხმო ანდერძები (228v — 229r), მთარგმნელისა და გადამწერისა:

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს ა

„შმიდანო მამანო, ეს წმიდად წიგნი და ყოვლისა სოფორისა მოძლუარი მე, გლაბაგმან გიორგი ხუცეს-მონაზონმან ვთარვმანე მთაწმიდას სულიერისა მოძლუარისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა და მადლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკურველსა. აწ გვედრები ყოველთა ღმრთის მოყუარეთა, რახთა ქსენ-ნებულ მყვნეთ წმიდათა ლოცვათა თქუენთა მოძლუარნი და მშობელნი ჩუენ-ნი და ყოველნი მმანი, რახთა ღმერთმან თქუენცა სასყიდელი მოგანიჭოს, ამინ.“

გ ვ დ ა მ წ ე რ ი ს ა

„ეგრეთვე პირველ თარგმნილისა თუ წმიდასა და ჩუენისა მამისა გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისა მეორედ გადმოწერილისაგან დაწერე ეს შესამე; რომლისა ამისა დედასა შინა ეწერა ხარებით შეწაპებად და ფრიადი სიმართლე, ვითარცა უთარგმნია პირსა მისსა წმიდასა სულისა შეირ მი-ცემულითა მადლითა და შეწევნითა. რომელი-ეს მცირთვე მადლითა აღ-ვწერე სამოძლურებელად და სალხინებელად, საწურთხლად და გასანთლებულად დაბნელებულისა სულისა ჩემისა მე, ულირსმან გიორგი ხუცეს-მონაზონმან, ლირსისა და წმიდასა მამათა-მამისა გიორგი მთაწმიდელისა თუალით მხილველმან და კელით მსახურმან და მოწაფემან, უამთა მათ კირისა და იწ-როებისათა, დევნულებისა და ტყეულებისათა, ოქრებისა და სიკუდილისათა, ოდეს სრულიად აოკე და ზეგარდამზ [|||||] სამცე თვნიერ რახმე ნეშტოადასა; რომელნი სიმაგრეთა შინა დაშთეს, იგიცა სალმობიერნი და ურვეულნი. ქრი-ნიკონსა ტ-გ, დასაბამითვან წელნი ტ-კ [3-გ].“

როგორც ეხედავთ, პირველი ანდერძით, რომელიც გადამწერს ეკუთვნის, სამოციქულოს მთარგმნელად დასახელებულია გიორგი მთაწმიდელი, რომელსაც ეს ძეგლი უთარგმნია ათონის მთაზე მისი მოძლვრის გიორგის ბრძანებით¹. მეორე ანდერძი კი, რომელიც გადამწერს ეკუთვნის, მოგვითხოვთ, რომ ეს ნუსხა დაუწერია გიორგი მთაწმიდლის მოწაფეს გიორგი ხუცეს-მონაზონს, მისი მოძლვრის ხელნაწერიდან გადმოლებული პირის მიხედვით ($780 + 303$) 1083 წელს.

ხელნაწერს თავში აკლია. დაპარგვი მას პირველი რვეული და მეორე რვეულის ორი ფურცელი, რომლებზედაც, როგორც მათი გაგრძელების შედარება გვიჩვენებს სხვა მთლიანი ხელნაწერების ტექსტთან, მოთავსებული ყოფილა საქმე მოციქულთას წინასიტყვაობა: „სიტყუანი საქმისათვა მოციქულთადასა

¹ ეს მოძლვარია გიორგი შეყვნებული, რომელიც ანტიოქიის მახლობლად მოღვაწეობდა შავს მთაზე (ანუ საკიორველ მთაზე) და ერთ ხას გიორგი მთაწმიდლის ხელმძღვანელი იყო (კ. ამ კალ ი ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ., 1941 წ. გვ. 190—191).

და უწყება განწესებისათვეს თავთახესა“ (6. მ გამოცემის გვ. გვ. 212—222), რომლის გამომთქმელად მეცნიერებაში მიიჩნევენ IV—V ს.-ის მოლაწეს ევთა-ლე ალექსანდრიელს, რომლისათვის ის დაუკალებია, როგორც ეს ნაწარმოებ-შია აღნიშნული, ვინმე ათანასის. დღეს ამ ნუსხას დასახელებული წინასი-ტყვაობისა მხოლოდ ბოლო მოეპოვება, სახელდობრ: თავთა განწესების ბო-ლო ნაწილი და წამებათა (ე. ი. ციტატების) განწესება.

სამოციქულოს შემადგენელი ნაწილები ამ ნუსხაში სხვა რიგით არის და-ლაგებული, ვიდრე ზემოთ აღწერილებში: მასში ჯერ საქმე მოციქულთა არის წარმოდგენილი აღნიშნული წინასიტყვაობით (ნაკლულად; 1r—67v), მერმე — კათოლიკე ეპისტოლენი (67v—98v) და ბოლოს — პავლეს ეპისტოლენი (100r—228v). ყოველ ეპისტოლეს მიუძლევის წინასიტყვაობა, რომლებშიც ჯერ, ცალკე თავად, საუბარია თვითეული ეპისტოლის „ძალსა და მიწეზზე“, ე. ი. დედაზრ-სა და დაწერის გამოწევევ მიზეზზე, და მერმე, ცალკე თავადვე, აღნუსხულია თვითეული ეპისტოლის თავები და მათი მოკლე შინაარსი. ამას გარდა, კათო-ლიკე ეპისტოლებს აქვთ საერთო წინასიტყვაობა, სადაც გადმოცემულია ამ ეპისტოლეების „ძალი და მიზეზი“.

ასახიშენავია, რომ პავლეს ეპისტოლეთა წინასიტყვაობა (თავთა განწესება და „ძალი და მიზეზი“) განსხვავებულია იმისაგან, რაც C ოფაქციის A ხელნაწერისა და ¶ რედაქ-ციის C ხელნაწერს მოეპოვება. უკანასკნელი სხვა გვამითა და შინაარსით შეუგრილი ნა-წარმოებია, რომელიც სხვადასხვა ჭრიბით კლავ ევთალეს მიეწერება, მაგრამ სხვა დრო-ისა და სხვა პირის დავალებით შედგენილად მიიჩნევა *.

ხელნაწერის ძირითად ნაწილში, სამოციქულოს გარდა, წარმოდგენილია აგრეთვე:

1. „აღსაარებად და უწყებად და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმიდათა კრებათათვეს, რომელთა დამტკიცეს მართალი სარწმუნოებად, რომე-ლი-ეს ჯერ-არს ყოველთა ქრისტეანეთათვეს, რადთა კეთილად და გამოწულილ-ვით მეცნიერ იყვნენ“ (229 v—240 r).

2. „განჩინებად სარწმუნოებისა დადებულისა იოვანეს მიერ ღმრთის მე-ტყველისა გამოცხადებით საკრეელთ მოქმედისა გრიგოლის მიმართ ვითარცა ხუავშებითა ღმრთის მშობლისახთა“ (240 r—241 r).

3. „მიქაელ სკველისა ოულისა მართლისა სარწმუნოებისა წარმოთქმად (241 r—244 v).

4. ილსაარებად წმიდისა და უბიწოდესა ქრისტეანეთა სარწმუნოებისა და თქუ-მული წმიდისა ათანასე ალექსანდრიელისა და მუკლ-მუკლი“ (244 v—246 r).

5. თქუმული წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრიელ მთავარ ებისკოპოსისა ქალწულებისათვეს“ (246 r—247 r).

6. „ებისტოლე წმიდისა ბასილი კესარიელ მთავარ ებისკოპოსისა სიმო-ლიკიას მიმართ სეფე ქალისა მწვალებელისა მონათა მისთა, რომელთა ეგონა წმიდისა ბასილის დათათვეს“ (247 r—247 v).

* გიორგი მთაწმიდლის ნათარგმნია, შენიშვნაა აშიაზე.

* ევთალეს თხშულებათა ქართულ თარგმანებს ცალკე ვამზადებთ გამოსაქვეყნებლად და იქ საგანვებოდ გვევნება საუბარი მათ მიმართებაზე.



7. „მცნებად წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარია კაბადუქის შთავაზე ეპისკოპოსისა მღდელთ მიმართ“ (247 v—248 v).

ძირითად ხელნაწერს, როგორც იღვიშეთ, ერთვის 16 ფურცელი (250 r—265 v) XVIII ს.-ის ნუსხა-ხუცური ხელით ქალალდზე ნაწერი ტექსტი, რომელიც სამოციქულოს საკითხავების საძიებელს წარმოადგვნს.

ხელნაწერის ძველ ნაწილს გადამწერის ხელით შესრულებული მინაწერებიც შოებოვება:

1. „უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენ, მოიქსენე წმიდანი და ჩუენი მამანი გიორგი მთაწმიდელი, მისი მთარგმენტი, და გიორგი, მისი მოძღვარი, წმიდისა სკმიონის ლავრასა დაყუდებული, რომლისა მიერ აქა მოწია“ (100 r).
2. „წმიდისა მიმისა გიორგი მთაწმიდელისა მადლო, დამიცვე აგარიანთა-გან. დიდისა ჩემისა გიორგის მიდლო, განმავლე მშვიდობით ლელვად ამის სოფლისაც“ (141 v).

ცალკევა აღსანიშნავი სამოციქულოს ბოლოს (228 v-ზე) მოთავსებული იამბიკური ლექსი, რომლის კიდურწერილობა იმას გვამიჯნეს: „დაესრულა პავლე, ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი გეორგი“. მაჟასადამე, იამბიკური ლექსის აკორია გეორგი, უკველია, გიორგი მთაწმიდელი.

შიდებულო ქრისტეს მოციქულთა	თ ა ო,
ცხალსა ამას ერსა საღმრთ	ო ს ა
ჟელესისა ნესტუად ვებ-ტები	ლ ა დ
საღმრთო სჯული ¹ დაგვმტკიცე ნეტ	ა რ ო,
მამეთუ ძირი უღმრთოებისა განპუხ	უ ა რ;
იამილეს, უფროოს კათა მალა	ლ თ ა
ზირწებად პატრთა დაანთქ ქუესწენ	ლ თ ა;
ცვედ სამ ცამდე, ღმრთივ სწავლულ იქ ბ ე ნ;	
სირნი ბრძენთა ბათ ზუავთანი დაპკ	შ ე ნ
ცხოვენენ კაუნი, იესუს სოფ	ე ლ ი,
ზითარცა მშე რამ აღაეს სოფ	ლ ი თ,
ზოცვით მადლობა ღმრთისა მოგუმა	დ ლ ე,
ზმავთა, ბრტერთა საბრძნენი დაპკ	ნ ე ნ.
ჭებით დიდება შენი თანა-გ	უ ა ც,
მომელი მჯხნელმან ქრისტემან ჩინებულ	გ ყ ა.
სარად ელვისად, ენად ცეცხლი	ს ა შ
სამებისა დიდება ღმრთის მეტყუელ ჲ	ყ ა ზ,
ჩომთა და ნათესავთა ² შთაცუ ნათ	ე ლ ი,
ჟელესია პყავი შენ ამაღლე	ბ უ ზ
შაბათნი დაპკსნენ, დააცხრვე შჯ	უ ლ ი
ზრთარსებისა ბრწყინვალე ქა	დ ა ზ!
ზოტე ბნელი, მტერი დასთრე	უ ნ ზ,

¹ შჯული E. ² ნათესავთა] თესლთა F

წესთა ზესკნელთა ჭარპეცელ, ჭმი	და Q,
ყველთა ღმრთისა პირისპირ მდგომ	ხა მ,
ცლეპული იგი გვრგვი დაგ	ა დ ჲ,
ზმობიერ ყვენ გულნი შენი ფიცხე	ლ ნ ე
ზოთბამად მკუდრ მყვენ სასუფევე	ლ ს ა ?]

F

F ხელნაწერი (A 34) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. იგი ეკუთვნის ხელნაწერთა A ფონდს (ყოფ. საეკლესიო მუხეუმს).

ხელნაწერი შედგება 252 ფურცლისაგან, რომელთაგან 225 ფურცელი ეტრატია და ძველ ნუსხას წარმოადგენს, ხოლო 17 ფურცელი ქალალდია და ახალ დროს, XVI ს.-ს ეკუთვნის. ხელნაწერი ჩასმელია ტყავ-გადაკრულ ხის გატეხილ ყდაში. ძველი ნაწილი, რომელსაც საქმე მოციქულთაც ეკუთვნის, ნაწერია ნუსხა-ხუცური ხელით, როგორც აღვნიშნეთ, ეტრატზე, ზევი საწერლით, გარდა სათაურებისა და საგანგებო აღვილებისა, რომლებიც წითლით არის შესრულებული.

ზომა ხელნაწერისა: 24,5×17 სმ. ტექსტის სიმაღლეა 17 სმ., სიგანე კი — 12,5 სმ., კაბადონი 24-25 სტრიქონისაგან შედგება.

ხელნაწერის ეს ძირითადი ნაწილი ნაწერია თავიდან ბოლომდის ერთი ხელით. გადამწერის ვინაობა არ ჩანს, რადგან ნუსხას ანდერმი არ გააჩნია. ხელის მიხედვით კი იგი XIII ს.-ისა უნდა იყოს.

სამოციქულოს შემადგენელი ისეა დალაგებული, როგორც E ხელნაწერში: ჯერ საქმე მოციქულთა (1 r—63 v), მერმე კათოლიკე ეპისტოლენი (63 v—65 r) და ბოლოს პავლეს ეპისტოლენი (95 r—225 r). აქაც თვითეულ ნაწილს ისეთივე წინასიტყვაობანი მიუძღვის, როგორც E ხელნაწერშია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პავლეს ეპისტოლეთა „ძალნი და მიზეზნი“ და „განწევებად თავთად“ ყველა ეპისტოლისა ერთად არის თავმოყრილი (95 r—111 r) და წინ უძღვის პავლეს ეპისტოლებს, წინააღმდეგ E ხელნაწერისა, სადაც შესაფერისი ტექსტი ცალ-ცალკეა მოცემული თვითეული ეპისტოლის წინ.

ხელნაწერის ძირითად ნაწილს, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ერთვის გვიანი ხანის ნუსხა-ხუცურით ქალალდზე ნაწერი ტექსტი, რომელიც სამოციქულოს საკითხავების საძიებელს წარმოადგენს.

ეტრატზე ნაწერი ნუსხის დაუწერლად გაშვებული ერთი ფურცლის verso (111 v) შემდეგში გამოუყენებით შანაონ მეფის მიერ ვინჩე ნიკოლოზისადმი ბოძებული წყალობის წიგნის ტექსტის მოსათავსებლად, რაც მხედრულად არის ჩაწერილი.

სამოციქულოს ტექსტის ბოლოს (225 r) აქაც გიორგი მთაწმიდლის იამბიკური ლექსი იყითხება, რომელიც წინარე განხილულ ხელნაწერში ვნახეთ.

თ რედაქციის ნუსხი

G

ე ხელნაშვილი (A 137) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. იგი ეკუთვნის ხელნაშვილთა A ფონდს (ყოფ. საექლესიო მუზეუმს).

ხელნაშვილი შედგება 342 ფურცლისაგან, ჩასმულია ტყავ-ვადაკრულ ფიც-რის ყდაში, ნაწერია ნუსხა-ხუცურით კარგ ეტრატზე ორ სვეტად შევი საწერ-ლით, გარდა სათაურებისა და ზოგიერთი საგანგებო ადგილისა, რომლებიც წით-ლით არის შესრულებული.

ზომა ხელნაშვილისა: 23×16 სმ., ტექსტის სიმაღლეა 17 სმ., სიგანე კი — 10,5 სმ. (სვეტებს შორის დაუწერილად გაშვებულია 1 სმ.). სვეტში 22 სტრი-ქონია. ტექსტი ნაწერია ერთი ხელით. ფურცლები: 1 რ—v და 342 რ—v ცარი-ელია. გადამწერის ვინაობა არ იჩვევა. ხელის მიხედვით მას XIV ს-ით ათა-რილებებს.¹

სამოციქულოს ნაწილები ისეა დალაგებული, როგორც E ხელნაშვილში, ე. ი. ჯერ საქმე მოციქულთა არის მოთავსებული (2 რ—97 v), მერმე—კათოლიკე ეპისტოლენი (97 v—143 r) და ბოლოს—პავლეს ეპისტოლენი (143 r—329 r). აქც თვითეულ ნაწილს (და თვითეულ ეპისტოლენს) ისეთივე წინასიტყვაობანი მიუძლ-ვის, როგორც E ხელნაშვილში გვაქვს. სამოციქულოს ბოლოს (329r—341v) დართულია: „განგებად საეკლესიო წესსა ზედა ბერძულსა ამის წიგნისაა,“ რომელიც წარმოადგენს საკითხავების საძიებელს, დალაგებულს (თვეებისა და დღეების რიგზე).

ხელნაშვილის გვიანი დროის მინაშვირები მოეპოვება რომელთაგან ვტყობი-ლობთ, რომ იგი ერთ დროს ჰქონდნებია დოდოს მონასტერს გარეჯაში.

საქმე მოციქულთასათვის წამძღვანებულ წინასიტყვაობას, რომელიც ტექსტობრივ წინარე განხილული რედაქციის ნუსხებს იმეორებს, დართული აქვს იამბიკოები, როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალურიც. თარგმანის შემსრუ-ლებელი ეფრემ შცირეა, ხოლო ორიგინალურინი ეფრემ მცირესა და არსენ იყალ-თოელს ეკუთვნისთ. ეფრემის რედაქციის ნუსხებს ჩვეულებრივ ეს იამბიკოე-ბი ამ ადგილს მოეპოვება. მათ აქ სრულად მოვიყენოთ G ნუსხის მიხედვით.

იამბიკონი მოციქულთა საქმისა და მათთა მათ კათოლიკეთა და პავლეს ეპისტოლეთანი ბერძულნი, თარგმნილნი ეფრემ მცირეა ასახსანი:

ოღვიართების წიგნი ესე რჩეული

სუეტად უძრავად ბრძნისა ეკლესიისა,

სიტუაც მიუთხრობს მეგობართა რწმუნებით

საქმესა დიდთა ქრისტეს მოციქულთასა.

და ამას მისცემს მთად [17] დიდად ჩრდილოვანად
საკურნებელად ვნებათ სულისათა.

ლუკა არს მისსა აღმწერელ და განმგებელ,

ლუკა დიდი და უზაკლულოდ სიტუაცია.

¹ თ. უთრდანია, Описание рукописей..., кн. I, стр. 145.



ხოლო სიტყუად რად გესმეს ლირსასა მსმენელსა, ნუ ჰეონებ სიტყუად ჰაერად განბნევადად, არამედ სილრმით გულთავთ აღმომავალად პოვნიერ ღმრთისა თანა მოქმედებითა. ესე რად წარპელო, მყის მახლობელ იპოვო ებისტოლესა ბრძნისა იკობისსა, რომელსა მისწერს თესლთა ათორმეტ ტომთა სულიერად და სულთა საცხორებელად. პეტრე გექმნეს შენ კლდე სარწმუნოებისა და იოანე სამ სართულ ცხორებისა, რაეამს რიცხვთა მით კათოლიკეთა გიჩუნის მაღლი წმიდისა სამებისაა. ხოლო იუდა შორის მოშურნეთახასა სახელოან არს და ერთ კათოლიკეთა, არამედ პავლე იყო ით სამ მეტ და ერთ ებისტოლეთა თჯსთა სამკაულითა, რომელთა-იგი სახედ ხატთა მეტყუელთა ლირსად მიპალებს ყოველთა მორწმუნეთა, ამათ ყოველთა ერთ წიგნად შემკრებელი, უფალო, ლირს ყავ ზიარ[უ]ყოფად მათ თანა მეოხებითა დიღთა მოციქულთახთა და ვედრებითა ყოველთა წმიდათახთა.

ხოლო ამათ თჯ ე ფ რ ე მ მეტყუელებს: სახედ სიბრძნისა გიწეს: მოედ და ჟეედ, და განიცადე წიგნი სამოციქულოხ, ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად ლუკა საქმესა ქრისტეს მოციქულთასა, და იაკობ და პეტრე იოვანეთურთ შეუდგმენ შვდთა სუეტთა იუდადს თანა. ხოლო სართულსა მისსა პავლე შეამკობს მენაკებითა ოქრო-ცხებულებითა, რამთა შვდობად კათოლიკეთად დაპროცს ებისტოლეთა მიერ მრჩობლ შვდეულთა. ამათი თჯსად განმასაკუთრებელი, უფალო, თჯსად შენდა განისაკუთრე.

და ა რ ს ე ნ მეტყუელებს ამათ იყალთ ლი: წმიდა მყოფელი მიითუალე საუნჯე, ჟინოსე მისთა მიპრონთა სულნელებად, ზანწყობილისა იხილე ვითარებად, ჩივთ უბრწყინვალეს ოქროსა გექმენინ შენ, ზებოს რაეამს უწყებად შენდა ლუკა



საქმე სიტყვისა მოწაფეთად. და მიერ
[18] ცლვედ იაკობ უფლისა ძმისა ბრძნისა,
შან წარვალინოს ძისა ჩიმართ, ტრედისა.
ირთა ამათ რაა თანა წარპედე. გეზრახოს
ცია პირმეტული და თავი ღმრთის მიტულთად,
წევდას მიერ შედეულად სრულ იქმნენინ
წალაგთა ოთხთა შედნი კათოლიკენი,
იშვიათაგანეს შეხდე, თუ გეპოვნენინ
წოდნი ათოთხმეტ რიცხუნი პატიოსანნი,
ირლანდია მის ღმრთისა ებისტოლენი,
წევნედ ესენი ნათელ ალაგთა შენთა.
იამბიკოს კიდურწერილობა ამას იძლევა: „წიგნი სამოციქულოი“.

H

ჰ ხელნაწერი (A 677) ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმშია დაცული. იგი ექუთვნის ხელნაწერთა A ფონდს (ყოფ. საეკლესიო
მუზეუმს).

ხელნაწერი შედგება 245 ფურტულისაგან, ჩამულია დაშლილი სახით ტყავ-
